აკადემოსი
AKADEMOS

ქ. თბილისი

28 თებერვალი 2022წ.

ბრძანება N2-26-22

შპს „აკადემოსის" უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესის დამტკიცებისშესახებ

შპს „აკადემოსის დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს შპს „აკადემოსის" უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი დანართისშესაბამისად.
2. დაევალოსსკოლისსაქმისმწარმოებელსამბრძანებისშესრულებისმიზნითშესაბამისიღონის ძიებებისგანხორციელება.
3. ბრძანებაძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანებაშეიძლებაგასაჩივრდესკანონმდებლობითდადგენილიწესითგაცნობიდანერთ ითვისვადაშითბილისის საქალაქოსასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

შპს „აკადემოსის"
დირექტორი

AKADEMOS LTD
204061295
ადმინისტრაციული ერთეული

/თამარ ჩანტლაძე/

დამტკიცებულია
შპს „აკადემოსის"
დირექტორის მიერ 2022 წლის 28 ოქტომბრიდან N- 2-26-22 ბრძანებით

ა. ...

შპს „აკადემოსის" უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი

1. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების გათვალისწინებით მოსწავლის მისაღებად, მშობელმა პირველ რიგში, სკოლას განცხადებით უნდა მიმართოს მისი შვილის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების შესაბამისობის დასკვნის შედგენის მოთხოვნით.
2. მოსწავლის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების შესაბამისობის დადგენის მოთხოვნას თან უნდა დაურთოს:

ა) ქართულ ენაზე ნათარგმნი და სანოტარო წესით დამოწმებული ნიშნების ფურცლის ასლი, რომელიც იმ სკოლის მიერაა შედგენილი, რომელშიც მოსწავლე უცხოეთში სწავლობდა;

ბ) მოსწავლის დაბადების მოწმობის ნათარგმნი და სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;

გ) მშობლის პირადობის ან ბინადრობის მოწმობა ან პასპორტის ნათარგმნი და სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;

3. მომართვის შემდგომ სკოლა ადგენს უცხოეთში მიღებული განათლების შესაბამისობის დასკვნას, რომელსაც მშობელი წარადგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. მან თან უნდა იქონიოს შემდეგი დოკუმენტები:

- სკოლის მიერ შედგენილი დასკვნა;
- ქართულ ენაზე ნათარგმნი და სანოტარო წესით დამოწმებული ნიშნების ფურცლის ასლი;
- მოსწავლის დაბადების მოწმობის ნათარგმნი და სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, თუ საქართველოში გაცემული, მაშინ დედანი;
- თავისი პირადობის ან ბინადრობის მოწმობა ან პასპორტის ნათარგმნი და სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;
- აღიარების პროცედურის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

4. უცხოეთში სწავლის პერიოდში მიღებული ზოგადი განათლების აღიარების თაობაზე განცხადების წარდგენის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, ცენტრის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია მიმართოს სკოლას, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი კლასის გაკვეთილზე დასწრების შესაძლებლობას, სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით.
5. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სურვილის შემთხვევაში სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით, სკოლა გამოსცემს ბრძანებას მოსწავლის შესაბამისი კლასის გაკვეთილზე დასწრების შესახებ და უზრუნველყოფს მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას.

6. მოსწავლე არ არის ვალდებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დაესწროს შესაბამისი კლასის ცხრილით გათვალისწინებულ გაკვეთილებს. თუმცა მითითებულ შემთხვევაში აუცილებელია მშობელთან შეთანხმება იმ დღეებზე(განრიგზე), როდესაც მოსწავლე გამოცხადდება სკოლაში და დაესწრება გაკვეთილებს.
7. მოსწავლე შესაბამის კლასში ირიცხება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტში მითითებული საფუძვლის შესაბამისად. სკოლის მიერ გამოცემული ჩარიცხვის შესახებ ბრძანება აისახება eschool.emis.ge-ს ბაზაში. განსხვავებული საგნები, რომელშიც შესაბამისობა ვერ დადგინდა, მოსწავლემ შესაძლებელია დაძლიოს ექსტერნატის ფორმით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.

8. მოსწავლეს შეუძლია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები, რომლებთან შესაბამისობაც არ იქნა დადგენილი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაძლიოს ექსტერნატის ფორმით.

9. თუ მოსწავლეს აღიარება ვერ დაუდგინდა, იგი ირიცხება ასაკის შესაბამის ან მშობლის მოთხოვნის შემთხვევაში ერთი კლასით ქვედა კლასში. სკოლის მიერ გამოცემული ჩარიცხვის შესახებ ბრძანება აისახება eschool.emis.ge-ს ბაზაში.

10. იმ შემთხვევაში თუ მოსწავლემ განსხვავებული საგნები, რომელშიც შესაბამისობა ვერ დადგინდა უნდა დაძლიოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, შესაბამისი საგნის მასწავლებლები მოსწავლის ჩარიცხვიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში ქმნიან იმ საგნებში, რომელშიც ვერ დადგინდა თავსებადობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმებს.

11. ინდივიდუალური გეგმები მტკიცდება დირექტორის ბრძანებით. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში უნდა გაწეროს მასწავლებელმა ინდივიდუალური გეგმის დაძლევის შეფასების ინსტრუმენტი (ტესტი, კომპლექსური დავალება და სხვა), შეფასების კრიტერიუმები, გეგმის შინაარსი, მიზნები, სწავლების ფორმატი, მიუთითოს სახელმძღვანელო, რომელსაც გამოიყენებს.

12. შესაბამისი საგნის მასწავლებელი ვალდებულია სასწავლო წლის მანძილზე მინიმუმ ორჯერ გადახედოს შედგენილ გეგმას და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მისი ცვლილება.

13.სასწავლო წლის დასრულებამდე დირექტორის მიერ ბრძანებით განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად ინიშნება დასკვნითი გამოცდა იმ საგნებში, რომლებშიც ვერ დადგინდა თავსებადობა.

14. დირექტორის ბრძანებით იქმნება მოსწავლისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით საგნების დაძლევის დონის შეფასების მიზნით საგამოცდო კომისია.

15. კომისიის ოქმის საფუძველზე დირექტორის ბრძანებით მტკიცდება შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული საგნების დაძლევის დონის შეფასების მიზნით ჩატარებული გამოცდების შედეგები.

16. იმ შემთხვევაში, თუ დაინიშნა ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების, ასევე ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების დაძლევის მიზნით ექსტერნატის გამოცდები, მოსწავლეს შეუძლია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები, რომლებთან შესაბამისობაც არ იქნა დადგენილი და იგი სწავლას განაგრძობდა ინდივიდუალური გეგმით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაძლიოს ექსტერნატის ფორმით.

17. იმ შემთხვევაში, თუკი პირმა ვერ შეძლო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნები/საგნების, რომლებთან შესაბამისობაც არ იქნა დადგენილი,

ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ან ექსტერნატის ფორმით დაძლევა სასწავლო წლის დასრულებამდე, სკოლა არ არის უფლებამოსილი მოსწავლე გადაიყვანოს მომდევნო კლასში.

18. წინამდებარე წესს ბრძანებით ამტკიცებს დირექტორი.
19. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.